ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი N 7

2022 წლის 23 სექტემბერი, 12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი - სხდომის (საბჭოს) **თავმჯდომარე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ვარდოსანიძე - საბჭოს **თავმჯდომარის მოადგილე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

გურამ ოქროპირიძე - საბჭოს მდივანი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" წევრი;

ნინო რუხაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე;

ელენე დუმბაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;

მარიკა დარჩია - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

თათია ჩახვაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

ნინო ჩიმაკაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ელეონორა კაპანაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე;

მარიამ ზაქარიაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ნინო წულაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ვლადიმერ ბოჟაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ანა კაკაბაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ოთარ გრიგოლია - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის დეტალური განხილვა;
2. საბჭოს მიერ სამომავლო აქტივობების დაგეგმვა;
3. ძუძუს კიბოს პრევენციის მიზნით დასაგეგმი აქტივობების მიმოხილვა.

სხდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** მისასალმებელი სიტყვით გახსნა, დამსწრეებს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომაზე გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022- 2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის პუნქტები დეტალურად განიხილეს და მოხდა გარკვეული პუნქტების დაკორექტირება.

საბჭოს თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა, დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის მზადების პროცესში გენდერულ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაერთიანებული შეხვედრა იგეგმება და სხდომის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა ასევე დედაქალაქის მერიის სამსახურების წარმომადგენლებთან ბიუჯეტის გენდერულ ჭრილში გადანაწილების შესახებ ინფორმაციის მოსმენის მიზნით უახლოეს მომავალში შეხვედრების ჩანიშვნის თაობაზე.

სხდომაზე საბჭოს წევრებმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად ეფექტური მექანიზმების დანერგვაზე იმსჯელეს.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, დედაქალაქის რაიონულ გამგეობებში ბროშურების დარიგებასა ან/და ბანერის განთავსებასთან დაკავშირებით, რომელზეც დატანილი იქნება ცხელი ხაზის საკონტაქტო ინფორმაცია.

თინათინ ნიბლოშვილმა ასევე აღნიშნა, რომ შესაძლებელია მაჟორიტარებს მიეცეთ რეკომენდაცია მასზედ, რომ მოქალაქეებთან შეხვედრის დროს, თითოეულ მათგანს საინფორმაციო შინაარსის ბროშურები გადასცენ, რომელზეც დატანილი იქნება თბილისის მერიის პროგრამების ჩამონათვალი.

თინათინ ნიბლოშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო მოსაზრება, მერიის შშმ პირთა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელთან, გოგა სოფრომაძესთან, შეხვედრის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ასევე გამოთქვა ინიციატივა, სკრინინგის დროულად ჩატარების მოწოდების შინაარსის ვიდეორგოლების გადაღებასთან დაკავშირებით. მანვე ისაუბრა საბჭოს წევრების მხრიდან სოციალურ ქსელში აღნიშნული ვიდეომოწოდებების გავრცელების და დიაგნოსტიკის დროული ჩატარების მნიშვნელობაზე.

საბჭოს წევრმა, **ნინო წულაძემ** გამოთქვა აზრი, საბჭოს წევრების მიერ სკრინინგის ჩასატარებლად სკრინინგ ცენტრებში ვიზიტის დაგეგმვასთან დაკავშირებით. აღნიშნული წინადადება მოიწონეს საბჭოს წევრებმა და უახლოეს პერიოდში ორგანიზებული ვიზიტის დაგეგმვაზე შეჯერდნენ.

სხდომის დასასრულს, საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას დისკუსიისთვის, ნაყოფიერი სამუშაო დღისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თინათინ ნიბლოშვილი თ.ნიბლოშვილი

სხდომის მდივანი: გურამ ოქროპირიძე